ხელშეკრულება # 2111/1

ქ. თბილისი 30 ნოემბერი, 2016 წელი

(შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ა. ბედუკაძის სახით სახით და შპს „ენ ჯი თი ჯგუფი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით ხოსიაშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის

1.2. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას

1.3. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.4. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 3 (სამი) ერთეული ერთჯერადი კოდის დამაგენერირებელი მოწყობილობის - დიჯიპასის შესყიდვა (CPV35100000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 105 (ას ხუთი) ლარი

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები

4.2. შემსყიდველი ვალდებულია

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება წარმოებს წერილობით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ხელმოწერილია უფლებამოსილი პირების მიერ

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშკერულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის ვადაგადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო შესაბამისად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით

8.3 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებიდან

9. დავების გადაწყვეტა

9.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით

9.2 თუ ასეთი მოლაარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილი მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების სეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან

10.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიწე ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

11.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ილია ჭავჭავაძის საგურამოს	შპს „ენ ჯი თი ჯგუფი“
სახელმწიფო მუზეუმი	ს/კ 204524274
ს/კ 236067224	მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #40
	სს “თიბისი ბანკი”
	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ა/ა: GE48TB1134936020100001
ა. ბედუკაძე	დ. ბოსიაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი # 2111/1

ქ.თბილისი 30.11.2016 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ა.ბედუკაძე და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ენ ჯი თი ჯგუფი“ -ს დირექტორი, დავით ხოსიაშვილი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ 22.11.2016 წ. შ.პ.ს. „ ენ თი ჯგუფმა “ ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა 3 (სამი) ერთეული ერთჯერადი კოდის დამაგენერირებელი მოწყობილობის - დიჯიპასის შესყიდვა (CPV35100000), რაც წარმოადგენს 105 (ასხუთი) ლარის უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

ს.ს.ი.პ. ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექქტორი ა.ბედუკაძე

შ.პ.ს. „ ენ ჯი თი ჯგუფი“-ს დირექტორი დ.ხოსიაშვილი